თელავის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ქ. თელავი „25“ მარტი 2020 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 19

ახალი კორონავირუსის (**COVID-19**) შესაძლო გავრცელების აღსაკვეთად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოში გასატარებელი ღონისძიებების განხორციელების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ **35**-ე მუხლის პირველი პუნქტის „ჟ“ ქვეპუნქტის და საქართველოს მთავრობის 2020 წლის 12 მარტის N529 განკარგულების ,,ახალი კორონავირუსის (**COVID-19**) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით საჯარო დაწესებულებებში საქმიანობის განსაკუთრებულ ღონისძიებათა განსაზღვრის შესახებ“ თანახმად,

ვბრძანებ:

მუხლი 1. ახალი კორონავირუსის (covid-19) შესაძლო გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოში გატარდეს შემდეგი სახის პრევენციული ღონისძიებები:

1. სამსახურში არ გამოცხადდეს თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დასაქმებული ის პირი:
ა) რომელსაც კონტაქტი ჰქონდა საზღვარგარეთიდან ჩამოსულ ან მასთან ერთად მცხოვრებ პირთან;
ბ) რომელსაც კონტაქტი ჰქონდა კორონავირუსით დაინფიცირებულ პირთან;
გ) რომელსაც აქვს ქრონიკული დაავადება/რაიმე სახის იმუნოდეფიციტი.
დ) რომელიც არის ორსული.

2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულმა პირმა:
ა) სამსახურში გამოუცხადებლობის მიზეზისა და რისკჯგუფში შემავალ პირთან კონტაქტის შესახებ, ინფორმაცია მიაწოდოს თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს, გადავიდეს თვითიზოლაციის რეჟიმში და ორკვირიანი პერიოდი გაატაროს დადგენილი წესების დაცვით.

3. გარდა გადაუდებელი საჭიროებისა, შეიზღუდოს:
ა) სამსახურებრივი მივლინებები;
ბ) თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შექმნილი სამუშაო ჯგუფების შეხვედრები.
გ) სხვა საჯარო ღონისძიებების ორგანიზება.
4. მიეცეს რეკომენდაცია საკრებულოს ფრაქციებსა და კომისიებს თავი შეიკავონ სამუშაო შეხვედრების ჩატარებისაგან.
5. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის შტატით განსაზღვრულ და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებს, საკრებულოს წევრებს, მათ შორის, ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პირებს, შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელის ზეპირი დავალების შემთხვევაში, მიეცეთ უფლება, მათზე დაკისრებული ფუნქციების შესრულება უზრუნველყონ დისტანციურად (სამსახურში გამოცხადების გარეშე), თუ ამის შესაძლებლობას იძლევა, როგორც დაკისრებული ფუნქციის შინაარსი, ასევე ტექნიკური საშუალებები. საჭიროების შემთხვევაში, დისტანციურ სამუშაო რეჟიმში გადასული თანამშრომელი სამსახურში უნდა

გამოცხადდეს დაუყოვნებლივ, მოთხოვნისთანავე (არაუგვიანეს 1 საათისა).

6. ამ ბრძანებით გათვალისწინებულ პირებს, ასევე თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციულ შენობაში სამუშაო ადგილზე მყოფ ყველა პირს, ეთხოვოს დაიცვას ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ გაცემული რეკომენდაციები და ჰიგიენის წესები.
7. ამ ბრძანების საფუძველზე, პირის არ გამოცხადება სამსახურში, არ ნიშნავს ამ პირის შვებულებაში ყოფნას და მათ შეუნარჩუნდეთ შრომის ანაზღაურება.
8. დაევალოს თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსს ამ ბრძანებით გათვალისწინებული პროცესის გამართულად უზრუნველყოფისათვის, შესაბამისი ღონისძიებების დაუყოვნებლივ გატარება.

მუხლი 2. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე და იგი მოქმედებს ქვეყანაში ეპიდემიური საფრთხის შემცირებამდე.

მუხლი 3. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ.თელავი, დ.აღმაშენებლის გამზ. №41) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

საკრებულოს თავმჯდომარე არჩილი თხლაშიძე